



ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში...

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტითი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოეული სტრიქონი 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ განცხადებანი
გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევიმდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

ომის დღიური

განამტკიცა რუსეთის სამართლიანი საქმისადმი ერთგულება. ჩვენს სამშობლოში შემოსატყვევებელ ათის წლობით მომზადებულმა მტერმა ვერ დათრგუნა...

კენიან ნინო აღმაშენებლის ასული წერეთლისა და კენიან ანატასია აღმაშენებლის ასული მარიაშვილის შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათის დის

„საქართველოს“ კლუბი
პროგრამა 21—26 ივლისამდე
საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

უკანასკნელ ორ დღეში მოსულ ცნობებით დღისა და ღამის შუა აქამდე აღვივალ მომავალ გერმანელებს ეხლა რუსის საკმისი ჯარი გადაეცემა და შეებრძოლა...

პირველხარისხოვანი
სასადილო
„კაფე ბორდო“
მიხეილის პროსპექტი, № 18 და მიხეილის ქუჩაზე № 1.

თბილისი, 18 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 16 ივლისს ზღვის რაიონში სროლა. ოლთისის მიმართულენით არკინთან სროლა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი
უბედულობა და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას.

პეტროპოლისი, 18 ივლ. ბრძანება არმიისა და ფლოტისადმი. 19 ივლისს 1915 წელს.
ერთის წლის წინად გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა და ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ იარაღი აღდგინა და თავიანთი ჯარი ჩვენ სამშობლოს საზღვრებისკენ გამოგზავნეს.

მ. გ. მ. რ. შ. ი.
ქიმიკი ნ. მ. კლიმიაშვილი
აღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

დეკემბერი
პეტროპოლისი, 18 ივლ. ბრძანება არმიისა და ფლოტისადმი. 19 ივლისს 1915 წელს.
ერთის წლის წინად გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა და ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ იარაღი აღდგინა და თავიანთი ჯარი ჩვენ სამშობლოს საზღვრებისკენ გამოგზავნეს.

დაიპრობდენ გერმანელი, მერე შემდეგ ნაბიჯი უნდა გადადგათ: შემდგომდენ მარტოდ დარჩენილ ინგლისს. ინგლისის დამარცხება მათთვის ექვს ვარსე იყო. ამინარა, თითქმის მთელი ევროპა ერთ მთლიან გერმანეთად უნდა გამხდარიყო ან, როგორც თვითონ გერმანელი ამხედრენ—და დღესაც იხანა—Deutschland über alles. ე. ი. გერმანეთი ყველას ბატონად უნდა გამხდარიყო.

ყოველი მზადება გერმანეთის სისტემატიურად, შეუწყვეტელი ხდებოდა, თანაც ჩუმად. მაგ., საფრანგეთის გამოანგარიშებით გერმანეთს, თუ ვინცინება იმე ატყდებოდა, მის წინააღმდეგ მხოლოდ 25 კორპუსის გამოყენება შეიძლებოდა. მაგრამ 1914 წლის მობილენობის დროს ივლისში გერმანეთმა საფრანგეთის მთელი 50 კორპუსი ჯარი დაუპირდაპირა! იმის დაწყების შესამეგობოზე თავიდანვე დაიწყეს გაზეფება ლაპარაკი: გერმანეთს ტყვეა წამალი შემოეღია, საქმელი პური არა აქვს, და ჩვენის მხრით საკმარისია, გავაგრძელოთ, რომ მტერი შემოვიღოთ გაწყიტოს და თითო მოკავკოსო... მხოლოდ ახლა ირკვევა, რომ ეს ხმები თვით გერმანული-სამხედრო იყო განგებ გაგრძელებული. რათა მოკავშირეთ გზონებოდათ, რომ ტერი დასუსტებული ჰყავდათ და ამომი ნაკლები თავდარიკი დაეკრათ. ოლოდ ახლა, თერთმეტი თვის შემდეგ კვება რომ გერმანეთს მტრის უფლისა აფერი სჭირებოდა, ჯერ-ჯერობით ანც. ყველანი აშკარად აღიარებენ, ამ გერმანელ ტყვე-წამალი თავსაც-ველი აქვთ, ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ შეუძლებელია მთელს დღეების განმავლობაში უშველებელ ზარბაზნების ყუმბარები წვიმისებ აწვიმონ მტრის ბანაკს, როგორც ამომსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტებზე. მათი მძიმე არტილერია ხომ ცნობილია საყოველთაოდ. ცნობილია აგრეთვე რიცხვითი უპირატესობა მათის მიტრაიზებისა, რომელთაც მძიმე არტილერიაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ. იმის დაწყებისთანავე გერმანელთა მიტრაიზებმა მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიყენა.

საპოზიციო ბრძოლაში მიტრაიზი პირდაპირ რისხვება მოწინააღმდეგისათვის. ფრანკ-ფურტის გაზეთის“ სიტყვით, როცა გერმანელები პარიზზე მოდიოდნენ, ინგლისელთა ერთი ბატალიონი ქ. კამბრეს ახლო ერთქმის განადგურებულ იქნა ერთად-ერთის მიტრაიზის საშუალებით. ერთ ალაგას ერთად-ერთ ვერსის ფრონტზე გერმანელთა 21 მიტრაიზი ჰქონდათ. დღეს, როგორც „Daily Chronicle“-ის კორესპონდენტი მოწმობს, მთელი ინდუსტრია გერმანეთისა სამხედრო მასალების მზადებას უნდება. სამხედრო დისციპლინა არის გამაფრთხილებელი ყველა ქარხანაში. როდესაც მთავრობა ამა თუ იმ ქარხანას შეუკვეთს რასმის ჯარისათვის, პირობაში განსაზღვრულია ის ქარაც, მუშას შექარხნებ რომ უნდა აძლიოს. ასე რომ უთანხმოებას მუშასა და მექარხნებს შორის ადვილი არა აქვს, ყოველი გაფიცვა წინდაწინვე აცილებულია. თუ მუშა ერთგულად არ ეკიდება საქმეს, მათხვედ ფრონტე ვაგზების გველის. მუშობაზე დღე და ღამ მიდის გაუწყვეტელი. თუმცა ყოველი ნაბიჯები გერმანელთა ჯარისა იმას შიშობს, რომ სამხედრო მასალა გამოუღველი აქვს, მაგრამ ქარხნებში მიიქცევა დასუსტებული ამზადებენ ახალ-ახალ მასალას.

თერთმეტი თვის გამოცდილებამ აშკარად დაანახვა ფრანგებს, თუ რა საშინელი ომს უნდა გასცენ პასუხი. საფრანგეთის ჯარის მთავარსარდალმა ყოფილია ამ სამ თითმარცვლო ომის სიტყვებით დაახასიათა თანამედროვე ომ: long, dur, sûr (გრძელი, ძნელი, უშუქველი), ე. ი. ომი დიდს ხანს გასტანს, მძაფრ იქნება, მაგრამ გამარჯვებით მიიქცევა გაცივარჯვებით. ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ყოველ ფრანგს გულსიდვიარზე აქვს დატყდული. საფრანგეთში ყველა, დიდი პატარამდე, ქალით კაცამდე სამშობლოს სამსხვერპლოს სწირავს ყოველსავე, რაც აბადია: თავის ქონებას, ცოდნას, ჯანს, სიცოცხლეს. თანაც იცის ყველამ, რომ ამ მსხვერპლს აუნახლაურებს მხოლოდ მტრის დამხობა და ზავი ხანგრძლივი.

დღეს საფრანგეთში არაინ ამბობს, მტერი დაუსტებულა და ომი რომდენიმე თვეში გათავდება. ომი ამ ზამთარს და შეიძლება მომავალ ზაფხულსაც არ გათავდესო. ყველანი ცდილობენ წარსული შეცდომები გაისწორონ, დაეზადნენ ისე, რომ მტერს გაასწორონ. მთავრობა არსებებს სამხედრო მინისტრის სამსახურში.

თანამედროვე თანამედრობას, რომელთა პირდაპირი მოვალეობა იზრუნონ მხოლოდ ჯარისთვის საჭირო მასალის დამზადებისთვის. ჯარის სიმრავლისა და მის უზრუნველყოფისათვის. ახალი არჩეული სუ-სერეტიერი ალბერ ტომასი, ექვსტენ გორდარი და ჟოზეფ ტერი ყველას ღირსეულ თანამშრომლებად მიანჩნია სამხედრო მინისტრის მიღწერანისა. ქარხნები დღეღამე მუშაობენ სამხედრო მასალის დასამზადებლად და იმედ აქვთ, მოკლე ხანში იმდენი დაამზადებენ, რომ აქაც ეყოს და მოკავშირე რუსეთსაც მიაღწოდნ ზედმეტი.

ინგლისშიაც საერთო აზრი ის არის, რომ მტერზე მაშინ გავიმარჯვებთ, როცა იმზე მეტს ტყვე-წამალს და თოვ-იარაღს დავამზადებთო. აქაც პალატა ერთხმად აწყებს შეიარაღების სამინისტროს. მთელი არმია, 46,000 კაცისა და ორამდენ ქალისაგან შედგარი, მასალას ამზადებს. ამავე გზას დადგომია, როგორც ტელეგრაფებმა გაუწყეს, რუსეთი. დასასრულ, რამდენიმე სიტყვა, ვგრძელ წოდებულ შხამიან ბოლის ხმარების შესახებ. ამ ვაზის ხმარება პირველად გერმანელებმა შემოიღეს. ასეთის საშუალების ხმარება ომის დროს წინააღმდეგი იყო გაავის კონფერენციისა. მთელმა ევროპამ დაპყრო გერმანელთა საქციელი, როგორც სასტიკი. გერმანეთში ამ ვაზის ხმარება სასირცხვილოდ კი არ მიანჩნია, პირიქით, ადამიანის სიბრალული გვაქვს საჩუქლოთ, ტკბილი მეტროდია ომისაო.

როგორც საფრანგეთსა, ისე ინგლისში, კარგანის ყოველმანს შემდეგ იმ ვაზს დაადგენ, რომ მტერთან ბოლინი საჭირო არ არის, ჩვენც იმავე იარაღით უნდა ვებრძოდეთ, რა იარაღითაც ჩვენს დათრგუნვას ლაშობსო. საფრანგეთში სენა-მინისტრმა მიღწერანმა გერმანელთა მიერ ხმარებულ მეტროდის შესახებ, სხვათაშორის, სთქვა: „რაკი ჩვენმა მტერებმა გააუპატურეს ომი, დაე იცოდნენ, რომ ჩვენ ჩვენის შვილების დასაცვა-დასაფარავად კრიკუში ჩაუდგებოთ და ჩვენც იმავე საშუალებით ვებრძვიეთო. საპირობადირექციასთან დაეარსე განყოფილება შხამიან ბოლისა. ერთად ითანშრომლებენ ტენიკოსები ჯარისა და მსწავლული უნივერსიტეტისა და ინსტიტუტისა. საზოგადოება დიდი ხანია მოვიდა, რომ მთავრობა ამ ვაზს დაადგებოდა და ღირსეულ პასუხს გასცემდა მტერს და დაანახებდა, რომ ნამდვილის სიცილით ის გაიცინებს, ვინც ბოლის გაიცინებსო.

ომიანობის ამ საერთო მიმოხილვის შემდეგ ვეცდებით „საქართველო“-ს მკითხველს ცალ-ცალკე გამოველაპარაკოთ ფრანგთა ცხოვრების ამა თუ იმ მკვლენის შესახებ.

თ. სახოკია.

ახალი ამბავი

◆ **კიბრიზის დასაფლავება.** 19 ივლისს ცნობილ ქველმოქმედის სოლომონ კიბრიზის გვამი, წირვისა და წესის აგების შემდეგ ხარუფის ბერძენთა ეკლესიაში, დაკრძალულ იქნა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. მწირველი ჰმანდებოდა სამღვდლოების თანამსახურებით, გორის ეპისკოპოსი ანტონი, რომელმაც წირვისა და წესის აგების შემდეგ გრძნობერი სიტყვა წარმოთქვა. ეკლესიიდან მიცვალებული გასვენეს სურფსარქისის ქუჩით და იმ სახლის წინ, რომელიც თავის სიცოცხლეში უანდრძა მან „განათლების“ საზოგადოებას, მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდილი. აქვე „განათლების“ საზოგადოების სახელით და მინდობილებით სიტყვა წარმოთქვა ვ. ა. ბურჯანაძემ. ამის შემდეგ პროცესია გაემართა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოსაკენ, საცა მიცვალებულის გვამი მიწას მიაბარეს. წირვისა და დაკრძალვის დასრულდნ „განათლების“ საზოგადოების გამგეობა და წვერნი, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წვერნი, ქართველი მოღვაწენი და სხვანი. ჰვალობდა ბ. მ. კაცაძის მგალობელთა გუნდი. წირვის დროს ეკლესიაში შემოვიდა დარაჯების თანხლებით, განსვენებულის შვილი, რომელიც, როგორც ვწერდით, ექვით არის დაბატმირებული. შვილმა იტრა მამა, გამოეთხოვა მას და უკანვე დაბრუნდა. ამ სიტყვამ ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მიახდინა.

◆ **ბ. მ. პოლიციებისტრმა** ბრძანება მისცა ბოქალეებს, რომ თუ სადმე გადადებდნენ ვინმე ავადმყოფი აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ ექიმისა და ორი კაცის თანდასწრებით დაათვალიერებთ.

ივით. ავადმყოფი მაშინვე ანშორებულ უნდა იქნეს კარგადმოყოფისაგან და ექიმი სწამლობდეს მასო. ყოველივე ამგვარი შემთხვევა უნდა ეცნობოთ საგუბერნო გამგეობას და გუბერნატორსო.

◆ **საზოგადოებრივი დამტკიცება.** სახელმწიფო ძირითად კანონების მე-87-დე მუხლის ძალით ამიერ კავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვა 915—1917 წლისა უმაღლესად ხელმოწერილია.

◆ **ლექიის წაითხვა.** 19 ივლისს, დილის 12 საათზე, ქალაქის საბჭოს დაბრბუნ ხოლერის შესახებ ლექცია წაიკითხა ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა. ლექტორმა აღნიშნა საზოგადოდ ხოლერის გაჩენისა და გავრცელების მიზეზები. შემდეგ ლექტორი შეხობა ხოლერის გაჩენას თბილისში, ის აზრი გამოთქვა, რომ წელს თბილისში ეპიდემიური ხასიათი არ აქვს ხოლერასო და აღნიშნა ის ღონისძიებანი, რომელნიც საჭირონი არიან სენთან საბრძოლველად. თუმცა ლექცია უფასო იყო და მასთან საინტერესოც, მეტიდრე დაბალ ხალხისათვის, მაგრამ ბევრი ხალხი არ დასწრებია.

◆ **წარმოდგენები პროვინციაში.** ბათუმის კომუნალტრმა ნება დართო მსახიობთა ვასო ურუშაძეს რკინის გზის თეატრში ქართული წარმოდგენები გამართოს. ბ. ნი ურუშაძე პირველ წარმოდგენას გამართავს 25 ამა თვეს. საქმე თუ რიგინად მოეწყოს, ბ. ნი ურუშაძე თავისი დასით შეიძლება მთელი ზაფხული დაიჩეს ბათუმში.

◆ **ხოლერის ნიშნები.** ლაზარეთში № 40 ხოლერის ნიშნებით 80 კაცია მაცყვანები. ნამდვილ ხოლერიანი გუშინ 6 კაცი იყო ლაზარეთში. ხოლერიანი სამი კაცი წინად გარდაიცვალა.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ ქალაქის თავსუფარაში იწვნენ: ქუთურუშიანი 4, ყვავიანი 4, საოფლიანი 3 და მუცელაა 3 კაცი.

◆ **სამკურნალო უწყების გამგეობა** სთხოვს ბ. ნ. თბილისის გუბერნატორს დაუწესოს თვალყურის დევნება ხოლერის მხრივ საეჭუო ადგილებთან მომსვლელებზე, როგორც, მაგალითად, მდ. ვოლგისა და დნებრის მიდამოებიდან და ჩრდილო კავკასიიდან. ამასთანავე რადგან ბატეთოროლოგიური გამოკვლევით დამტკიცდა, რომ თბილისში არის ხოლერის ნიშნები, კანონიერი ღონისძიებანი მიიღეთ მის მოსასობლად.

◆ **თავ. ი. აბაშიძის დაშავება.** კარგად ცნობილი ფილოლოგიისტი თავ. ილია აბაშიძე კავკაციდან თბილისს მოვიდა. მღვთსა და ფასანაურს შუა ავტომობილი გადაბრუნდა და მგზავრებმა ხრამში გადაკვიდნენ. თავ. აბაშიძე შესამჩნევად დაშავდა: მას სისხლმა დაუწყუო დენა ყურებიდან, ცხვირიდან და პირიდან.

◆ **მეგობრული სადილი.** 18 ივლისს თავად-აზნაურთა ერთმა ჯგუფმა „ედემის“ ბაღში სადილი გაუმართა ბრძოლის ველიდან თბილისში დროებით ჩამოსულს, წმ. გიორგის კავალერს, ნიე-გოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერს თავ. დ. ზ. ჰავევაძეს, რომელმაც ომის დაწყებისას საქვეყნოდ იხსებლა თავი თავისი გმირობით დასავლეთ ფრონტზე ბრძოლაში. სუფრის თავჯდომარედ იყო თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. სადილზე წარმოითქვა მოვალეობა, გრ-ნობით აღსავსე სიტყვა. ამასთანავე დამსწრეთ მისასალმებლად დღემუა გაუგზავნეს ფრონტზე მყოფთ თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშლს თავ. კ. ნ. აბაზს, წმ. გიორგის კავალერს ღენ. ვ. დ. ვაბაშვილს და პოლკოვნიკს თავ. ჰავევაძეს. აგრეთვე ცოცხალი ვარდების თაიფული გაუგზავნეს მეგობარ-სტუმრის დედას კნ. მ. დ. ჰავევაძისას. სადილი მხიარულად დასრულდა.

◆ **ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი გუშინ გაემგზავრა სარიყამიშს, საცა რევიზია უნდა მოახდინოს ქალაქთა კავშირის დაწესებულებებში. სარიყამიშიდან ბ. ნი ხატისოვი წავა საქეშიოდ.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრი** ა. მ. არლოწასული, რომელიც დასასვენებლად იყო წყნეთში, თბილისს დაბრუნდა და თანამედრობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **წყლით სარგებლობა.** როგორც ვიცით, რაც ეს ზაფხული დადგა, ისე როგორც საზოგადოდ ყველა ზაფხულში, წყლის დიდი ნაკლებობაა თბილისში. ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ ქალაქის წყალსადენი საქმაო წყალს არ იძლევა, იმითაც იხსნება, რომ სიცხეებისა გამო წყალი ბევრი იხარჯება დღით, ხოლო ღამით კი აუზები და მილები სავსეა წყლით. ამის გამო გამგეობის წინადადებით ქალაქის საბჭომ დადგინა, რომ წყლის გასასყიდის სანაკადო 10 ვერსი მოქმედდეს და მსურველთა 10 ვერსი წყალი მიეცეს 1 კაპეიკად.

ბის წინადადებით ქალაქის საბჭომ დადგინა, —ღამ-ღამობით წყლის გასასყიდის მით არ ყოფილეს განსაზღვრული, მაგრამ გადაკითხვით შეიქმნეს წესი, რომელიც დადგინდა, რომ წყლის მიწოდება 1 კაპეიკად.

◆ **ქალაქის გამგეობამ** თხოვნით მიმართა სათანადო დაწესებულებათ, წარმოადგინონ სიები 1896 წ. მამრობითი სქესის დაბადებულთა, რადგან ისინი მომავალ 6 აგვისტოს უნდა გამოცხადდნენ ჯარში ჩასაწერად.

◆ **გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ** ნაცვლად შეიღისა, როგორც ქალაქის საბჭოს მიერ იყო დადგენილი, 8 უზნად დაჰყო თბილისს, საცა ხმისწების არჩევნები უნდა მოხდეს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საარჩევნო სიების გადასწორებას შეუდგა.

პათიოლოგიკ გეოგოლის სმოვნას

კვირას, 19 ივლისს, დიდის პატივით დასაფლავდეს ვერავლად მოკლული სოლომონ კიბრიზი, ის ბერძენი კიბრიზოვი, რომელმაც ორი-სამი კვირის წინად თავის უხვი შეწირულებით (40 ათას მან. ღირებულ მამულით) მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ყველა შეგნებულ ქართველისთვის ძვირფას შენობას, — ქალთა სამსწავლებლო სემინარიას.

მიუხედავად იმისა, რომ კვირას ცხრა თვლა მზე სწავდა თბილისის არემარეს, მაინც კიბრიზოვის დასაფლავებას დაესწრო თითქმის ყველა ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელი და მოვალე პატივისმცემელი. მართლაც ჩვენთვის მრავალ მხრივ საყურადღებოა, საგრძობელი და ამიტომ პატივსაცემი განსვენებულ კიბრიზოვის ჩვენი მხარისადაც კეთილმოძღვრის საქციელი. იგი თურმე ამბობდა ხოლმე: პატარაობიდანვე საქართველოში, — ამ ჩემ მეორე სამშობლოში ვარ აღზრდილი, აქვე მაქვს ამოღენა ქონება შეძენილი და ჩემი შეგნა და სინიდისი მიბრძანებს, ერთი ნაწილი მაინც ჩემს ქონებისა მადლობით დავუბრუნო ამავე მხარის კულტურულ დაწესებულებასო.

განსვენებულ კიბრიზოვს თურმე მიზნად ჰქონდა მეორე უხვი შეწირულება ერთ-ერთ ჩვენი კულტ. დაწესებულების სასარგებლოდ, მაგრამ, ეტყობა, გაუგეს იმით, ვისთვისაც ეს სასარგებლო არ იქნებოდა და ვერავლად სიცოცხლეს გამოასალმეს მოხუცებული ადამიანი.

მიცვალებულს უფრო და ანდერძი აუგო ხარუფისა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ეპისკოპოსმა ანტონიმ, რომლის კრებულს შეადგენდა: არქიმანდრიტი პიროსი, ბერძენთა არქიმანდრიტი, სიონის მთავარადიკანი მალაჩიძე და მრავალი სასულიერო პირი. მთელ ამ კრებულისავე შემადგენლობამ მიცვალებულის ცხედარი გააცილა სამარის კარამდე.

წირვის გათავებისა მტად საყურადღებო და გრძნობერი სიტყვა წარმოთქვა ყოველად-სამღვდლო ანტონიმ, რომელმაც მოუწოდა ქართველ საზოგადოებას გულში ღრმად აღებეჭდა იმ უცხო ტომის წარმომადგენლისაგან უხვად გაღებული ძმური შემოწირულება და დასაქრებულ პატივის ეცემას განსვენებულის ხსოვნისადმი მოითხოვდა ქართველ დედისაგან. შენ, ქართველო დედე, — სთქვა დახლოვებით პატივცემულ ეპისკოპოსმა, — დიდად მძიმე და საპასუხისმოკლე მოვალეობა გაწვეს ჩვენებურ ოჯახისა და საზოგადოების წინაშე: შენი ნორჩი შვილი, შენსავე მკლავზე პირველად რომ თვალს გაახელს, შენ შემოხედდეს და იმ დღიდან მოყოლებულად, შენ შეგნებულზე და უნარზე დამოკიდებული, ფიზიკურ აღზრდასთან ერთად, სულიერადაც ისე აღზარდა შენი შვილი, რომ იგი შეიქმნეს სასარგებლო წევრი არამც თუ თავისი კერძო ოჯახისა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისა. როდის აღზრდის ჩვენებური დედა ასეთ შვილს? მაშინ, როცა თვით იქნება ჯეროვან ნიადგზე აღზრდილი და გონება განსატყუებელი. სწორედ ასეთ შემთხვეულ ქართველ დედების აღზარდვლად გაიღებოდა უხვი შეწირულება განსვენებულმა სოლომონ კიბრიზოვმა.

საყურადღებო სიტყვები წარმოთქმეს აგრეთვე სან. „განათლებისთვის“ შეწირულ სახლის წინ, ამავე საზოგადოების წარმომადგენელმა ბ. ე. ბურჯანაძემ და სამარის წინა-ბ. ი. იმედაშვილმა. განსვენებულ სოლომონის მახლობლებმა გადმოგვცეს, რომ იგი ყოფილა მეტად შრომის მოყვარე და ამასთანავე ხელ მოყვრილი კაცი: იგი სხვაში თუ არ ხედავდა საქმის უნარს და სიერით,

სარგებლობას, კვირას არ გაიღებდაო. თუმცა იგი, ჩვენ დროში მიღებულ ზომით არ ყოფილეს განსაზღვრული, მაგრამ გადაკითხვით შეიქმნეს წესი, რომელიც დადგინდა, რომ წყლის მიწოდება 1 კაპეიკად.

◆ **ქალაქის გამგეობამ** თხოვნით მიმართა სათანადო დაწესებულებათ, წარმოადგინონ სიები 1896 წ. მამრობითი სქესის დაბადებულთა, რადგან ისინი მომავალ 6 აგვისტოს უნდა გამოცხადდნენ ჯარში ჩასაწერად.

◆ **გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ** ნაცვლად შეიღისა, როგორც ქალაქის საბჭოს მიერ იყო დადგენილი, 8 უზნად დაჰყო თბილისს, საცა ხმისწების არჩევნები უნდა მოხდეს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საარჩევნო სიების გადასწორებას შეუდგა.

პერგანელთა თავდასხვის „მექანიკა“

ის უზარმაზარი ძალები, რომელთაც გერმანელები თავს უყრიან ერთს ფრონტზე აქტიურ მოქმედებისათვის; უეჭველია, იკრიბება სხვა და სხვა მეორე ხარისხიანი ბრძოლის პირობაგან. ახლა საკითხი ის არის, თუ როგორ ჰხდებოდა, რომ გერმანელები შესუსტებულ ბრძოლის პირზე მაინც ახერხებენ ასე ესთქვათ, „სიცხალი ძალის“ შენარჩუნებას, ან თვით იერიშის დროს რატომ ჰხდებოდა, რომ ცოცხალი ძალა ადვილად ხელიდან არ ეცლებათ? აი, ამ კითხვის საპასუხოდ უნდა თვალი გადავალოთ თვით ბრძოლის საშუალებას, განსაკუთრებით იმ იარაღს, რასაც ჩვენი ჯარისკაცები მოკლედ „მექანიკას“ უწოდებენ. ამ მექანიკაში ჯარისკაცები ჰგულისხმობენ ტენიკურ ყოველგვარ საშუალებას, თვით მოზამბულ გაზეფსაც კი. ათასჯერ რომ აუხსნათ ვაზის ქიმიურ შედგენილობა, ანუ ანტიგონის, ე. ი. ვაზის საწინააღმდეგო საშუალებას, ჩვენს ჯარისკაცები მაინც ძველი რწმენით რჩებიან და ყოველთვის ეჭვით იხსენიებენ მტრის გონების მახვილობას ამგვარი „მექანიკის“ გამოგონებისთვის.

ახლა გავინხილოთ, რა „მექანიკა“ ეს „მექანიკა“ არ როგორ ჰქმედობს იგი ბრძოლის დროს.

ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ ახლავე განაცხადო, რომ ჩემი დაკვირვებანი გამოტანილი მაქვს ბრძოლის უახლოეს ადგილიდან, სადაც თვით მე მიხედებოდა მოქმედება. ეს შედარებით მეტად მცირე მანძილია ბრძოლის მთელ ფრონტთან შედარებით და გერმანელთა „მექანიკას“ მთელ თავის სიძლიერით ვერ შეიძლო თავისი ძალის გამოჩენა. ისიც უნდა ესთქვა, რომ „მექანიკას“ უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ უთქვამს და დღეს თუ არა ხვალ მაინც მოგაჩვენებს ახალ მენახინებს, რომ კარგა შორს მანძილზე გადმოგვასხან ადულებული სითხე, აიეღვარონ და აანთონ ნასროლი ტყვიები, ანდა ათასი სხვა რამ ბრძოლის საშუალებანი და ეშმაკობანი მოიგონონ.

ჩვეულებრივ ბრძოლის ველზე რამდენიმე ხაზი გაუვლებულია ხოლმე გერმანელთა თხრილებზე. თვითთელი თხრილი დაფარულია ყოველგვარი საშუალებით გაუმჯობესებული იარაღით. შიგ მყოფთ ყოველისფერი აქვთ, რაც კი საჭიროა მათთვის. პირველი ხაზის წინ ზოგჯერ გათვლებული აქვთ ეკლანი მავთულში, ოთხ-ხუთ ხშირად ათსა და მეტ როგად-ადგილ-ადგილ წვეტიანი პალოები და მარგოლები აქვთ დარტობილი. ყველა ეს ეკლები, მავთულები, ერთმანეთში ისე ეშმაკობა, არის გადახლართული, რომ ადამიანი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ადგილ-ადგილ მოუხმარებიათ ფუგასები. აი ის ქვის გაუვლი კედელი, რომელიც „ჩვენ“ და „მათ“ ერთმანეთს იშვად გვეყოფს. ამ კედელთანვე საკმისად უდვით სუბუქი თუ მძიმე არტილერია. ეს უკანასკნელები დღემო ერთხელ ან ორჯელ მაინც გავავსებენ ხოლმე, ჩვენც აქ ვბრძანდებითო. პირველი კი, თუმცა სუბუქი არიან, მაგრამ უზაროდ არ იციან უზაროდ ტყვიების ფანტა. თუ ისერიან, უშუქველად განსაზღვრულ მიზნის მისაღწევად. ჩვენს ჯარისკაცები ცოტა არ იყოს პატივით არ იხსენებენ ამ სუბუქ იარაღის ახმაურებაზე: „აი, მოჰყვა ახლა თავისებურად რწყვას“, — იტყვიან ხოლმე მათს ახმაურების დროს. თხრილების გასწვრივ ფარულ კუთხეებში უდვითა მეთოხე ჯუროს იარაღი, —გადნიერდები ასე დაუახსიათო და ქება-დიდებათ მოვიხსენო მათი ტყვისმფრქვევლები, რადგანაც მათ დიდი სამსახური გაუწყვიათ და უშუქველად გერმანელებს და სულ განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ომის დროს. „ტყვისმფრქვეველი ტყვისმფრქვეველზე, ტყვისმფრქვეველი ტყვისმფრქვეველზე თავისის“, — ანუ მათემატიკურად,

რომ ვსთქვათ ტყვიისმფრქვეველთა უკუპროპაგანდას მსროლელთა რიცხვზე. თვითველ მსროლელს უკანასკნელი თითო თითოდ მაინც უდევია იგი. საზოგადო ტყვიისმფრქვეველი გერმანელთა ხელში პირველ სერიაში როდეს ასრულდნენ...

აქნობამდინ ჩვენ „ძველ მექანიკაზე“ ვილაპარაკეთ. განსაცდელის დროს, ანუ როგორც ეს განსაცდელად მოგეჩვენებოდა, გერმანელები უმაღლესი მიზნით სხვა და სხვა ჯურის ყუმბარებს. უპირველესი ადგილი უნდა დაეკავებინათ ყუმბარის მფრქვეველ მანქანას. ეს ვახლავთ ერთგვარი დაზავა, რომელიც განსაკუთრებული იარაღით სტყორცის ცილინდრულ ყუმბარას, რომლის დიამეტრი სამს ვერსოკს უდრის, ხოლო სიგრძე ნახევარ არწინს. სიძლიერით ეს ყუმბარა არაფრით ჩამორჩება მსხვილი კალიბრის ზარბაზნის ტყვიას. ამგვარ ყუმბარებს აგრეთვე ნაღმსაც უწოდებენ. ერთხელ რო. ის. როლონი, მეორე გასროლაზედ მიაყოლებენ სხვა ჯურის ყუმბარებს, რომელთაც ბატის კვერცხის ყოველილობა აქვს. მათ ჩამოაცემენ თოფის ლულაზე და გაუტენავი პატრონი იხერხიან ხოლმე. ასევე აღსანიშნავია თოფის ყუმბარები, რომელთაც ამ ომის დროს ყველაზე მეტად მშობრობენ. მოწინავე საღარაუო ადგილები ჩვეულებრივ ამ ყუმბარებს ისერიან ხოლმე.

გერმანელებს დიდს სამსახურს უწევს „მექანიკა“ ღამით თავდაცვის დროს, როცა საზოგადოდ საჭირო ხდება მეტი ხალხი თავდასაცვლად. დღისით ერთი ჯარისკაცი სდგას ბინოკლით ხელში, რა თქმა უნდა, ფრად მოხერხებულ ადგილას და მერე, რომ მას მტრის თვალი ადვილად ვერ შეპნინავს. იგი ვრცელ მანძილზე თვალყურს ადევნებს მტრის მოძრაობას და ამა თუ იმ შეუმჩნეველი ნიშნებით ყოველთვის შეუძლიან აურ-ზაური ასტეხის თუ რაიმე საეჭვო მოძრაობა შეამჩნიონ. მაგრამ იგივე როლი ღამით. ხალხი რო დაპროვინ და ზედმეტად არ მოქანცონ. (ღამ-ღამობით მოწინავე როგვე ყოფნა უაღრეს ძალას და სიფხიზეს თხოულობს), გერმანელები ხელოვნურ განათებას მიმართავენ ხოლმე. მთელ ფონტის გასწვრივ უდგიათ „უშველებელი“ პროექტორები, ანუ, როგორც ახასიათებს ამას ჯარისკაცთა ტერმინოლოგია, გერმანელთა „გეგმა მზე“. პროექტორები ერთ-ერთისაგან განსხვავდებიან მანძილზე აქვთ გარეგნული და კარგა შორის მანძილზე აშუქებენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. „დიდ მზეებს“ თანაშემწეობას უწევენ „პატრები“. მათი დანიშნულება ემპაურად გადახვართონ სხივები, რომ მოწინააღმდეგებს თვალს მოსჭრან და გზა აუხრიონ. მაგრამ ამასაც არ სჯობდებიან. დრო გამოშვებით უშვებენ, „უშუხუნებს“ იმ ადგილებში, სადაც რაიმე საეჭვო მოძრაობა შეამჩნიეს. ეს უშუხუნებს უშველებელ მანძილზე აშუქებს მთელს რაიონს.

მთს „მექანიკას“, არ გამოეპარა თვით თოფის ტყვიების გაუშვობისობა. გასროლისთანავე საოცრად ეღვარებენ; ეს ტყვიები.

შეძლებას აძლევენ გერმანელებს, რომ მით გამოიკვლიონ სროლის ხაზი. და აი, თუ ვინმე მზერავთაგანი მოხვდა გერმანელთა „მზის“ სხივებში, სწრაფად ასტყდება ერთგვარი კაკაფონია, თუმცა ეს სიტყვა მეტად სუბტი ტერმინი მგონია სმენის დამაყრუებელი იმ ხმაურის დასახასიათებლად, რასაც გერმანელები თავიანთ „მექანიკას“ ამოქმედების დროს დააყენებენ ხოლმე.

ეს „დამაყრუებელ-დამამრბამებელი“ საშუალებანი თურმე ცოტად მოსჩვენებიათ გერმანელებს და აი, ეხლა მიმართეს ახალს „დამაძინებელი“ საშუალებას, რასაც „მოშხამულ“ გაზებს უწოდებენ როცა მოისურვებენ მოქმედებას, გერმანელები ახსნაურებენ და საკარბისა ჩვენსკენ ოდნავ ქარმა დაპბროს, რომ მოშხამული გაზებიც გამოუშვან. შებინდებისთანავე გამოინდება ჯაჭვი, მოაქვთ ტყვიის მფრქვეველები, ყუმბარის მფრქვეველები, ასტყდება თოფის სროლა, შემდეგ სხვა და სხვა ჯურის ყუმბარა სკდება და შედეგად ჩვეულებრივი „აუცილებელი“ მდგომარება. მოსდევს ჩვენი. იერიშის მოტანაზეც ამჩნევთ, რომ თვით გერმანელებს კი არ მოაქვთ გადაწყვეტი იერიში, არამედ მათს „მექანიკას“. ხშირად მთელი მათი მოქმედება მხოლოდ არტილერიის მძაფრ სროლაში გამოიხატება.

გერმანელთა თავდაცვის დროს დიდს სამსახურს უწევენ ჰაერობლანები. თითქმის ყოველ დღე დღით თუ საღამოთი, განსაკუთრებულ შემთხვევაში ხომ თქმა არ უნდა, გამოფრინდნენ „აღმატროსი“, მოვა, დაგვედავს, რა მდგომარეობაში ვართ, იკვლევს ჩვენს ბატარიების მდგომარეობას და საფარეო ნიშნებით ელაპარაკება „მათ“ იქ, სადაც შორს. ხან რაღაც ლენტებს უშვებს, ხან კიდევ თვითვე უსწორდება მოწინააღმდეგეს და ყუმბარებს ყუმბარაზე მიაყოლებს, თუ კი ამას საჭიროდ დინახავს.

აგერ წელიწადი მიჰქრის და ომს დასასრული არ უჩანს. რას იტყვის გერმანელთა მომავალი „მექანიკა“, აი ახალი გამოსაცნობი. თქმა არ უნდა, გერმანელებმა დაჰკარგეს თავიანთი საუკეთესო ძალები, გაწერინდნენ და სასტიკი დისციპლინის ცეცხლში გამოპრძმდნენ ჯარისკაცები. ეხლა უფრო მეტად დასკორდებათი „მექანიკაზე“ დაამყარონ თავიანთი ძალიან. ვინ იცის, ისეთი რამ განსაკუთრებული მოიგონონ, რომ ერთიანად დაივიწყონ ღვთისა და ადამიანური უფლებანი. იქნებ ფანტასტიკური არა იყოსრა, თუ „მათში“ დაინახავთ ახალს მისწრაფებას, რა არის მუხანაზის დამლუპველ საშუალებით ყოველგან სიკვდილი გაამეფონ და მათ თანაშემწეველ დილით ქალები, რომელნიც „არა მოწყალების დათა“ „სტეილ კურსებს“ გაივლიან“.

ქალაქის საგზაო სანგნებო პრეპე

18 ივლისის კრებაზე თავმჯდომარემ პირველად კრებას მოახსენა ხოლერის გაჩენის ამბავი თბილისში და ის ღონისძიებანი, რომელნიც ქალაქის თვითმართველობამ იხმარა, ანუ შემდეგში უნდა იხმაროს ხოლერასთან საბრძოლველად.

როგორც მოხსენებლან სჩანს, 7 ივლისიდან 18 ივლისის დღის 12 საათამდე 27 შემთხვევა ყოფილა საეჭვო ავადმყოფობისა. ამ 27-დან ექიმების უტყუარი განმარკებით, 11 კაცი აღმოჩენილა ხოლერიანი. აქედან 2 კაცი უკვე გარდაცვლილა. ყველა ხოლერიანი სამხედრო წოდებისანი ყოფილა. მოყვანილი ცნობებიდან მომხსენებელს ის აზრი გამოჰყავს, რომ 1) ხოლერა შემოიტანეს თბილისში ჯარისკაცებმა და 2) ხოლერას ებიდემიური ხასიათი არა აქვს. ქალაქის გამგებმა სენთან საბრძოლველად შემდეგ ღონისძიებათა მიღებას აპირებს:

- 1) ვინაიდან წყალი ხოლერის უმთავრესი გამავრცელებელი ბუდეა, ამიტომ ქალაქის გამგებმა დაუდგინა, რომ ინფ. ვაწაძემ და ექიმებმა თარხანოვმა ქალაქის წყლის სისუფთავე დაცვის აგეპლასა და გლდანში; 2) დროგამოშვებით ქალაქის წყალი ბაქტერიოლოგიურად უნდა გამოიკვლიონ ბ-ბმა მუხარინსკიმ და კუპ-ცისმა; 3) ქალაქის ღარიბ უბნებში ეზოების სუფთად შენახვა დავალებული აქვს გამგებობის წევრს მ. ა. ჯაბარს.

4) ყველა ხოლერიანი, სამხედრო წოდებისა იქნება იგი თუ მოქალაქე, უნდა მოთავსდეს ქალაქის ვადამდებ სენით თავშესაფარში, რომელიც ნათლულშია. ყოველი საეჭვო შემთხვევის დროს ავადმყოფის პატრონმა, ანუ ვინც იქნება, ტელეფონით (№ 9,13) უნდა გამოუძახოს ქალაქის მოხელეს. დანიშნულ ალბანს სწრაფად გაჩნდება ჩქარი დახმარების ეტლი, რომელიც ავადმყოფს წაიყვანს გასასინჯად ლაზარეთში № 40. საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ, ავადმყოფს, ხოლერიანი თუ აღმოჩნდა, თავშესაფარში გაგზავნიან. 5) ხოლერიანი სამხედრო პირთათვის ხარჯს კისროლობა ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილება. რაც შეეხება დანარჩენებს, ე. ი. მოქალაქეებს და საზოგადოდ არა სამხედრო პირებს, თუ ვინმე ამთავანი გახდა ხოლერით ავად, ამთავის ახალი თანხის ვალგებთ ან მოითხოვა ქალაქის გამგებობამ, რადგან საბჭოს მიერ წინადაცვლებულ ფულიდან შავ სახლთან საბრძოლველად დარჩენილა 47 ათასი მანეთი და ამის გარდა, ის 57 ათასი მანეთიც, რომელიც მთავრობამ მისცა ქალაქს შავ-ქოთის საბრძოლველ თანხით, ჯერ ხელახლებული ყოფილა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მუხლი საბჭოე დამატკიცა. გარდა ამისა, ხმ. პ.

ა. გოთუას წინადადების თანახმად საჭიროა ხოლერის შესახებ ყოველივე მართალი ამბავი იმუქტეობდეს, რათა ხალხში არავითარი ყალბი

და ცრუ ხმები არ გავრცელდეს, ქალაქის მოურავმა აღუთქვა საბჭოს, რომ ვეცდები ნებართვა გამოვითხოვო და ყოველ დღე ეტუარ ბიულეტენს მივაწვდი პრესას. ამასთანავე მიღებულ იქნა ხმ. ვესლოვზეროვის წინადადება, რომ ხვედრი ფულის შეტანდნენ თბილისის გამგებობამ წყალი არ მოუსპოს კერძო ოჯახებს და აგრეთვე წინადადება ხმ. ანტონოვისა, რომ წყლის გასასყიდი კრანები დღე და ღამე მუშაობდნენ, რათა წყალი, როგორც უმთავრესი საგანი სისუფთავისა, არ შემოაკლდეს ქალაქის ღარიბებს, მაგრამ იმ პირობით, რომ ღამით 10 ვედრა წყლის ფასი უნდა იყვეს კრანზე 1 კ, ხოლო დღით ძველბურადვე დარჩეს—5 ვედრა 1 კაკი. დასასრულ საბჭომ დაადგინა: რადგან ხოლერა შემოიტანა თბილისში სამხედრო უწყებამ

დაევალოს ქალაქის მოურავს იზუამდგომლობის კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსთან, რომ იმან ნებართვა გამოსცეს, რათა ქალაქის სანიტარებს ნება ჰქონდეთ ჯარისკაცთა ყაზარმები ათვლიერონ და იქაც ისეთივე სანიტარული ღონისძიებანი იხმარონ, როგორც ქალაქის დანარჩენ ადგილებში.

დაკეზები

კოპენჰაგენი, 17 ივლისი. გამოირკვა, რომ გერმანიის ნაღმობრუნებელი „სენატორ ბერნბერგი“, ინგლისის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა.

ატიონა, 17 ივლისი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, მოკავშირენი თანდათან ცუდ მდგომარეობაში აყენებენ ოსმალებს. წყალქვეშა ნავი ავანჩნდა იმპროსში, სადაც მოკავშირეთა ფლოტი იმყოფება, მაგრამ მათგანებმა ნება არ მისცა ნავთსადგურში შეპარულიყო.

გუშინ 5 ჯავანოსანი სმირნას მიუახლოვდა.

ლონდონი, 17 ივლისი. ჩრდილოეთ ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ჩასძირა ინგლისელი მეთევზეთა გემი. მეზღვაურები გადასარჩინეს.

რომი, 17 ივლისი. საზღვაო შტაბის ცნობა. გუშინ დღით მტერმა სცადა კუნძულ პელაგოსის უკან დაბრუნება. ორმა კრესტურმა და ექვსმა კონტრ-ნალმოსანმა ზარბაზნები დაუშინა კუნძულს; ამავე დროს მეზღვაურთა რაზმი ნაპირზე გადმოსლას სცდილობდა. მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ და თანაც დიდი ზარალი მივაყენეთ მას. ჩვენი მხრივ დაჭრილია ორი.

ოფიციალი ცნობა. 14 ივლისის მტრის ქვეითა ჯარმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს ტრაფონამზასის ველზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა დიდის ზარალით. 16 ივლისის დღით მტრის პატრული ცდილობდა ცეცხლი წაეკიდა კაპუჩიოს ტყეის, სადაც ჩვენი თხრილები იმყოფება, მაგრამ ჩვენი ყარაულების ფიზილობის გამო მას ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. გუშინ ტყეზე წამოვიყვანეთ 120 ჯარისკაცი და 4 ოტიცერი.

ლონდონი, 17 ივლისი. ფელდმარშალი ფრენჩი იუწყება: პარასკევს დღით მტერმა სროლა აუტეხა გოიშის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ინგლისელებს თხრილებს. შემოტევის დროს მტერი სარგებლობდა მანქანებით, რომლებიც ცეცხლის ალს ესერიან მოწინააღმდეგეს. მტერმა შესძლო ჩვენი თხრილების პირველ რიგში შემოჭრა 500 იარღის გასწვრივ. ბრძოლა გრძელდება.

პარიზი, 18 ივლისი. დილის ოფიციალი ცნობა. გერმანიის ჰაერობლანმა ყუმბარები ჩამოჰყარა სენ-პოლ-სიურ-მერში, მაგრამ არავითარი ზარალი არ მიუყენებია ქალაქისთვის. მთელი დამე არტუშვი საარტილერიო სროლა. ნანსში მტრის ჰაერობლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოავდო. ზარალი უმნიშვნელოა. გერმანიის ერთი აპარტი ჩვენმა არტილერიამ ჩამოავდო ფრანგებისა და გერმანელების შუა.

ბუშარმსტი, 18 ივლისი. ოფიციალად იუწყებიან, რომ შემოდგომაზე გაიწვევენ სათადარიგო ჯარს. 12 ივლისიდან მოთადარიგთ 3 ნაწილად გაყოფენ და თვით მათგანს ოც-ოც დღეში გაწვრთნიან.

თიბრანი, 18 ივლისი. შაჰის და მეჯლისის თხოვნით მუსტაფა-ულ-მამელიკმა სამინისტროს შედგენაზე თანხმობა განაცხადა. ეინულ-დოლუმ და მუსორულ-დოლუმ ახალ კაბინეტში შესვლაზე უარი განაცხადეს.

პეტროგრადი, 18 ივლისი. დაიკლ-

დავებულია წმ. გიორგის მე-4 ხარისხით აწვანსვენებული ფლოგელ-ადიუტანტი პორუჩიკი თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი.

პეტროგრადი, 18 ივლისი. დამტკიცებულია, რომ გერმანიის დიდძალი ჯარი გადმოჰყავს დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთში. ტყვეები ამობიან, რომ გერმანელთა მე-54 და 58 ქვეითი დივიზია ეხლახან გადმოუყვანიათ დასავლეთიდან და მით მხოლოდ 16-ს მიუღიათ პირველად ბრძოლაში მონაწილეობა.

პარიზი, 18 ივლისი. საღამოს ოფიციალი ცნობა. არტილერიის ცეცხლი მდინეარება დადეს სენ-ჟორჟის, სტენ-სტრეტის მიდამოებში და შამპანიაში ობერი-ვე-სიურ-სიუბის რაიონში. არკანებში, სენ-იუბერის მიმართულებით სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებხს. 16 ივლისის ჩვენმა ჰაერობლანებმა ყუმბარები დაუშინეს. პერ-სულეს რკინის გზას გერმანელების სიმაგრებს ლანგევალიში, ბრიმონის სიმაგრებს, შატელენის სამხედრო სადგურს არკონებში, ბიუტეკურის სადგურს ლოტარინგიაში. 17-ს ჩვენმა ჰაერობლანმა ყუმბარები დაუშინა შამპანის ვახტის დორნახის ქარხანას ელ-ზასში. დღეს ჩვენმა საჰაერო მცირე ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ფრეიბურგის სადგურს—მეორე ჯგუფმა 44 ყუმბარა ჩამოავდო შონის სადგურზე. დღეს დღით 45 ჰაერობლანი გაემგზავრა პე-შელბრონის სანეთე ქარხნის ასაფეთქებლად, მაგრამ ღრუბლისა და ნისლის გამო მხოლოდ ზოგიერთმა მთავანმა მიადღია მიზანს. პიშელბრონის ქარხანას 103 ყუმბარა მოხვდა. გარდა ამისა დეტალიერის სადგურს დააყარეს 6 ყუმბარა და ფალსბურგის საავიაციო პასპარს კიდევ 6 ყუმბარა.

პარიზი. ოფიციალი განცხადება, დილას 7 ჩვენი ჰაერობლანი ყუმბარებს უშენდნენ ფრიბურგში და ბრისგაუში სადგურს და ჰაერობლანების ქარხნებს. ერთი ჩვენი ჰაერობლანთაგანი რომელსაც მოტორი გაუფუტდა, იძულებული იქნა მტრის ბანაკში ჩამოფრენილიყო.

ლონდონი, 18 მათათვის. ლლორიდი იტყობინება, რომ საფოსტო გემი „იმბერიონ“ ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა. მომკვდარა 7, გადარჩენილა 61.

რომი, 19 მათათვის. მდინარე იზონ-ცოხედ მალაის სიმაგრის ახლოს ჩვენ ხელსაყრელად გავაფართოვეთ ოპერაციები. კუქის მთის ახლო დაეანგრეთ დიდი ადგილი მავთულ-ხლართისა და

დაიკავიეთ რომოდენიმე ალაგი. გუშინ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მივიტანეთ ტანკები ქვეშევრდები ადგილებზე და კარგად მოწყობილი წინაფრთით ცენტრში, სადაც ჩვენმა ჯარმა აიღო რამდენიმე სანგარი და 834 ტყვე. მათ შორის 15 ოფიცერი. ხელთ ვივდეთ აგრეთვე 3 ტყვიისმფრქვეველი, მრავალი თოფი და საომარი მასალა.

ბოდი, 19 მათათვის. გადადგა ოკუპის კაბინეტი. იმპერატორმა მოიწვია გენროს საბჭო ახალ კაბინეტის შესადგენად.

გერმანიაში დასაპაპე-გულთა ნათესავების სასურველი

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს), ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრეთვე ამანათს ზედ ექრას პატარა ქალაქი შემდეგის წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suisse, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. Бахерахтხ ან კიდევ: Banque Populaire Suisse, Foids Russe pour les prisonniers de guerre.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანუიაშვილი

კანეთის რკინის გზის მიმოსვლა (დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთულ-ამიერ-კავ.	8 " 40 " "
ნავთულ-კახეთ.	8 " 58 " "
ვახანიდან	10 " 06 " "
ივრიდან	21 " 15 " "
საგარეჯოდან	11 " 58 " "
ბაღდადიდან	12 " 56 " "
ელაიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 " 37 " "
კარდენაზიდან	4 " 12 " "
წნორის-წყალზე	4 " 44 " "

ბურჯანაიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვანაძიანიდან	4 " 38 " "
თელავში	5 " 27 " "

თბილისიდან გადის:

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენაზიდან	9 " 41 " "
გურჯაანიდან	10 " 24 " "
მელანიდან	11 " 39 " "
ბაღდადიდან	12 " 59 " დღ.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავეპრო სახლ. „ლ. შაილდოვის-შვიტი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშონი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.